აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№102 (24.982) სამშაბათი, 20 - 21 სექტემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 23-28, მთაში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 23 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით.

კრიალოსა N იუსი

არასამთავრობო ორგანიზაციების გარკვეული ჯგუფი ჩაკეტილ კარს მიღმა, ყოველგვარი გამჭვირვალობის და საზოგადოების ჩართულობის გარეშე მსჯელობს სახალხო დამცველის კანდიდატზე - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. როგორც მან აღნიშნა, ომბუდსმენის თანამდებობის დასაკავებლად განცხადებების მიღება 29 სექტემბრის ჩათვლით არის შესაძლებელი.

* * *

22 სექტემბერს პარლამენტი „მინისტრის საათის“ ფორმატში კულტურის მინისტრ თეა წულუკიანს მოუსმენს. „მინისტრის საათი“ საპარლამენტო კონტროლის მექანიზმია, რომელიც მთავრობის წევრის მიერ წელიწადში ერთხელ პლენარულ სხდომაზე მისვლას და სამთავრობო პროგრამის შესაბამისი მიმართულების შესრულების შესახებ მოხსენებით გამოსვლას გულისხმობს. მინისტრის მოხსენების შემდეგ კითხვა-პასუხისა და დებატების პროცედურა გაიმართება.

* * *

სასამართლოსთან დაკავშირებულ საკითხებზე შექმნილ სამუშაო ჯგუფში ნაკლებად ხდება ოპოზიციის მოთხოვნების გათვალისწინება, - ამის შესახებ „მოქალაქეების“ დეპუტატმა, ვიცე-სპიკერმა ლევან იოსელიანმა განაცხადა. „მთავარი მოთხოვნაა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების ცვლილება, რაზეც მმართველი პარტია ამბობს, რომ ამას სჭირდება საკონსტიტუციო ცვლილებები. ჩვენ შევთავაზეთ საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის შექმნა, თუმცა, ვფიქრობ, ასეთი ჯგუფის შექმნას არ აპირებენ“, - აღნიშნა მან. შეგახსენებთ, სასამართლოს რეფორმა ევრორეკომენდაციების ერთ-ერთი პუნქტია.

* * *

კოალიციად ფორმირების არანაირი გეგმა „ლელოს“ არ აქვს. მგონია, რომ ეს არარსებული ფაქტებით ნიუსის შექმნის მცდელობაა - პროევროპული ერთობა ისედაც არსებობს, - ამის შესახებ „ლელოს“ დეპუტატმა ანა ნაცვლიშვილმა განაცხადა, რითაც გამოეხმაურა მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას „ლელოს“, „სტრატეგია აღმაშენებლის“, „გირჩი - მეტი თავისუფლებისა“ და „დროას“ კოალიციად ფორმირების თაობაზე. „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერ გიორგი ვაშაძის თქმით კი საუბარია არა კოალიციის შექმნაზე, არამედ პროევროპულ მოძრაობაზე, რომლის ფარგლებშიც ყველა პროდასავლურმა ძალამ უნდა ითანამშრომლოს.

მოამზადა
ია შველიძემ

საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტის კომიტეტს წარედგინა

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს მესამე მოსმენით წარუდგინა უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მოიცავს კანონის პროექტებს: „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საკანონმდებლო პაკეტის მიზანი მაჭახლის ხეობის ბიომრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით გამორჩეული ტერიტორიების დაცვა, აღდგენა და გონივრული გამოყენების ხელშეწყობაა.

უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივას, მესამე მოსმენით, დღეს, პარლამენტის 20 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე უყრიან კენჭს.

ანკა ჩხიკვაძე

მერი ბათუმელ ახალგაზრდებს შეხვდა

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა მერიის სხვადასხვა ახალგაზრდული პროგრამის მონაწილეებთან შეხვედრა გამართა

როგორც არჩილ ჩიქოვანმა აღნიშნა: „ახალგაზრდების თავისუფალი ხედვა შესაძლებლობას მოგვცემს, მუნიციპალური პროგრამები უფრო სრულყოფილი და მათზე მორგებული გავხადოთ. ახალგაზრდებს გავაცანით ყველა ის პროგრამა და პრიორიტეტი, რომელსაც ბათუმის მერია ახორციელებს და რომლითაც ისინი ისარგებლებენ. მსგავსი ფორმატის შეხვედრები მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

ახალგაზრდების ჩართულობა უმნიშვნელოვანესია ყველა მიმართულებით. მჯერა, რომ მათთან ერთად ნებისმიერ გამოწვევას გადავლახავთ ჩვენი ქალაქის სასიკეთოდ. აქედან გამომდინარე, შეიქმნა ბათუმის მერიის ახალგაზრდული საბჭო, რომლის წევრებსაც საშუალება აქვთ, ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დარწმუნებული ვარ, ისინი მაქსიმალურად გაითვალისწინებენ ახალგაზრდების ინტერესებს, რომელთა როლი ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვანია. ჩვენ მაქსიმალური უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ახალგაზრდები უფრო მეტად იყვნენ ინტეგრირებულნი ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის განვითარების პროცესში“.

ანკა ჩხიკვაძე

დასავლეთის მხარდაჭერა - საქართველოს ევროინტეგრაციის ფორმულა 3

აგროსერვისცენტრში... 4

რამ დააინტერესა ამერიკელი გამომცემელი ნათია ხადურის შემოქმედებაში? 5

კვალიფიციური კარდიოლოგები - ხულოში 6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

სამინისტროში კონკურსი გამოცხადდა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში „დოკუმენტური ან/და მხატვრულ-დოკუმენტური ფილმების საგრანტო კონკურსი“ გამოცხადდა

კონკურსის თემატიკა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერმუხა“ - დოკუმენტური/მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი; პედაგოგები აჭარის რეგიონიდან: ირინა ხერუი, მერცია თენეიშვილი, მალვინა სირბილაძე - დოკუმენტური ფილმი; სპორტსმენი ქალები აჭარის რეგიონიდან: ტანმოვარჯიშე რუსუდან სიხარულიძე, მოჭადრაკე სალომე მელია, ძიუდოისტი ნანი კირკიტაძე - დოკუმენტური ფილმი.

„დოკუმენტური ან/და მხატვრულ-დოკუმენტური ფილმების საგრანტო კონკურსში“ მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, გარდა სახელმწიფოს ბიუჯეტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ან მუნიციპალურ დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციისა.

კონკურსის ბიუჯეტი განსაზღვრულია 60 000 ლარით. ერთი ფილმის გადაღებისთვის გრანტი გაიცემა: დოკუმენტური/მხატვრულ-დოკუმენტური ფილმისთვის (ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერმუხა“) - არა უმეტეს 30 000 ლარის ოდენობით; დოკუმენტური ფილმებისთვის (პედაგოგები და სპორტსმენი ქალები აჭარის რეგიონიდან) - არა უმეტეს 15 000 ლარის ოდენობით.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში განაცხადების მიღება იწარმოებს 2022 წლის 16 სექტემბრიდან 30 სექტემბრის 18 საათამდე.

„მე მაქვს უფლება...“ – კონფერენცია სასტუმრო "ჰილტონში"

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

პროექტის - „მე მაქვს უფლება... დამხმარე ტექნოლოგიები შეზღუდული შესაძლებლობების სამსახურში, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების, უკეთესი განათლების, შრომისა და დასაქმების ხელშესაწყობად“ ფარგლებში, ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონში“ კონფერენცია გაიმართა

კონფერენციას აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ თენიეშვილი და სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი ინდირა ნაკაიძე ესწრებოდნენ.

ღონისძიება გაიმართა პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისთვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ და „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. აჭარის რეგიონში კი პროექტს ახორციელებს ბათუმის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი.

სამუშაო თათბირი – ქობულეთის მერიაში

ქობულეთის მერიაში გამართულ სამუშაო თათბირზე მერმა ლევან ზოიძემ მუნიციპალიტეტში მიმდინარე სიახლეებზე, სამომავლოდ განსახორციელებელ პროექტებზე, სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა და ზაფხულის ტურისტული სეზონი შეაჯამა.

როგორც აღინიშნა, 2022 წლის ბოლომდე დაგეგმილია რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის დაწყება. დასრულების ეტაპზეა არაერთი მიმართულებით მიმდინარე სამუშაოები.

აქტიურად გრძელდება ქალაქის მოწესრიგება. გამწვანების და დასუფთავების სამსახურები ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით შესაბამის სამუშაოებს.

საუბარი შეეხო არსებულ გამოწვევებს, რომლებიც ეტაპობრივად და შესაძლებლობის ფარგლებში მოგვარდება.

ანკა ჩხიკვაძე

„დავასუფთაოთ მსოფლიო“ – დასუფთავების აქცია

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მირიან ქათამაძე კამპანიის „დავასუფთაოთ მსოფლიო“ ფარგლებში, დასუფთავების აქციაში ჩაერთო

აქციაში, ასევე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს და სსიპ „სატყეო სააგენტოს“ თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

კამპანიის მიზანია მოსახლეობის გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების გამომუშავება, ცნობიერების ამაღლება და გარემოზე ზრუნვაა.

ბსუ-ს 1380 პირველკურსელი ჰყავს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. საზეიმო გახსნაზე პირველკურსელებს სწავლის დაწყება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ხალვაშმა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

უნივერსიტეტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ერთიანი ეროვნული გამოცდებით ბსუ-ში 1380 პირველკურსელი ჩაირიცხა, რაც შეეხება საბაკალავრო პროგრამების შევსების მაჩვენებელს, გასული წლებისაგან განსხვავებით, რეკორდულად გაიზარდა და 98,6 %-ს შეადგენს. მათივე განმარტებით, მოთხოვნადი პროგრამებია: ფსიქოლოგია, კომპიუტერული მეცნიერება, ისტორია, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, სამართალმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია, ინგლისური ფილოლოგია, სტომატოლოგია, საჯარო მმართველობა და ეკონომიკა.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო წლის საზეიმო გახსნაზე თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის ხელმძღვანელმა ლევან ბექაიამ ბსუ-ში ყველაზე მაღალქულიან პირველკურსელ სტუდენტ ლელა მახარაძეს 1 500 ლარის ოდენობის პრემია გადასცა, ხოლო „საქართველოს ბანკის“ რეგიონულმა წარმომადგენელმა დავით ბერიძემ, ბანკის სახელით, 100%-იანი გრანტის მფლობელებს ერთჯერადი სტიპენდიის სახით - 300-ლარიანი ვაუჩერი.

უნივერსიტეტის 7 ფაკულტეტზე 7 000-მდე სტუდენტი სწავლობს, მათ შორის 500-მდე უცხოელია.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი ფრიდონ ხალვაშის გამზირის მცხოვრებლებს შეხვდა და მათთან ერთად სკვერის მშენებლობის სამუშაოები დაათვალიერა. პროექტის ფარგლებში, სკვერში მოეწყობა დეკორატიული ფილები და ბორდიურები, დაიგება კორდი, დამონტაჟდება გარეგანათების სისტემა და განთავსდება საპარკე ინვენტარი. სამუშაოების ღირებულება 630 ათას ლარს აღემატება. ამავე პროექტის ფარგლებში, დამატებით სამი სკვერის მშენებლობა იგეგმება, რისთვისაც 1 მილიონ 223 ათას ლარზე მეტი დაიხარჯება. სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება.

* * *

ბათუმის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი გაიმართა. ნაფიც მსაჯულთა როლში მყოფმა სტუდენტებმა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული საქმე განიხილეს. პროცესში პირობითი ბრალდებული და დაზარალებულიც მონაწილეობდა, მოპაექრე მხარეები კი ექსპერტ-იურისტები და პროკურორები იყვნენ. პროცესი განსაკუთრებული იყო იმით, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გამართულ იმიტირებულ სასამართლო პროცესში, პირველად, ამერიკელი მოსამართლე ჯეიმს რედვაინი მონაწილეობდა. მხარეთა პოზიციებს ეცნობოდა ბათუმის სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ლევან ყოლბაიაც. „ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი!“ - ამ დევიზით უკვე მეორე წელია, იურიდიული დახმარების სამსახური საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ კამპანიას ახორციელებს.

* * *

ასანთის ღერებით აწყობილი ბიგ-ბენის, სკოლის, თვითმფრინავის და სხვა მაკეტების გამოფენა მოეწყო ძმები ნობელების ტექნოლოგიურ მუზეუმში. ალექსანდრე აბუსელიძისთვის ეს პირველი პერსონალური გამოფენაა. „ასანთის სამყაროში ჩატეული ხელოვნება“ - ასე ჰქვია გამოფენას, რომელზეც თვითნასწავლმა კონსტრუქტორმა საზოგადოებას თავისი შემოქმედება წარუდგინა. სამომავლოდ გრანდიოზულ პროექტებზე იწყებს მუშაობას, რომელიც შესაძლოა, მასშტაბურობიდან გამომდინარე, რეკორდების წიგნშიც მოხვდეს.

* * *

ბათუმი ევროპული მობილობის კვირეულს ორდღიანი ღონისძიებით შეუერთდა. კამპანიის ფარგლებში, ორი დღით, მანქანებით გადაადგილება გამსახურდიას, მელაშვილისა და ქუთაისის ქუჩებზე შეიზღუდა. ევროპული მობილობის კვირეული ევროკომისიის ცნობიერების ამაღლების კამპანიაა მდგრადი ურბანული მობილობის შესახებ და პოპულარიზაციას უწევს დღეს მანქანის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ბათუმის მერია GIZ-ის მხარდაჭერით მობილობის სხვადასხვა პროექტზე მუშაობს. მზადდება ველოგადაადგილების გენერალური გეგმა და ფეხით გადაადგილების კონცეფცია ძველი ბათუმის ტერიტორიისთვის.

მოამზადა
ნათია იმნაიშვილმა

დასავლეთის მხარდაჭერა – საქართველოს ევროინტეგრაციის ფორმულა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დასავლეთში კარგა ხანია გააცნობიერეს, რომ ქვეყნის სტაბილურობისთვის პოლიტიკურ პარტიებს შორის შეთანხმება სხვადასხვა საკითხზე აუცილებელია. თუ ამ კუთხით შევხედავთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, სურათი არასახარბიელოა. ოპოზიცია მმართველ პარტიას ადანაშაულებს არასტაბილური პოლიტიკური გარემოსა და არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის გამო. თავის მხრივ ხელისუფლება ოპოზიციის დესტრუქციულობაზე საუბრობს და ასე გრძელდება წლიდან წლამდე, რაც, ცხადია, ვნებს ჩვენს ევროპულ პერსპექტივას, არადა საქართველოში დღეს მიმდინარე მოვლენები მრავალმხრივ მნიშვნელოვანია სწორედ ჩვენი ევროინტეგრაციის კუთხით, რაც ბადებს არაერთ კითხვას: რამდენად არგუმენტირებულია ოპოზიციის შენიშვნები ხელისუფლებისადმი, რისი მანიშნებელია დასავლეთის პრეტენზიები საქართველოს მმართველი პარტიისადმი და საერთოდ, მიაღწევენ თუ არა შეთანხმებას ხელისუფლება და ოპოზიცია ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებში? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „აჭარასათან“ „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერი **ალექსანდრე ფიფია** საუბრობს.

- ვიდრე ბოლოდროინდელ მოვლენებზე გისაუბრებდეთ, საინტერესოა, ზოგადად როგორ შეაფასებდით ქვეყანაში არსებულ ვითარებას?

- ქვეყანაში არსებული ვითარების შეფასებამდე აუცილებლად უნდა აღვნიშნო, როგორი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას დღეს სახელმწიფო და სრულიად ერი. გვაქვს უნიკალური და რეალური შესაძლებლობა, ვიყოთ დიდი ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი. ევროინტეგრაციის პროცესი უალტერნატივოა და საქართველოსთვის გადარჩენას, განვითარებას ნიშნავს. სამწუხაროდ, დღეს საქართველოსთვის ევროინტეგრაციის პროცესი და მისკენ მიმავალი გზები გაყინულია და მას ქვეყანაში ხელოვნურად შექმნილი მძიმე მდგომარეობა იწვევს.

- გასაგებია, რომ ოპოზიცია უკმაყოფილოა არსებული ხელისუფლების საქმიანობით, თუმცა მმართველი პარტია აცხადებს, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარება, ოპოზიციის შენიშვნები რამდენად ობიექტური და არგუმენტირებულია?

- ოპოზიციური სპექტრიდან შენიშვნები და შეფასებები ეყრდნობა მძიმე, მშრალ ფაქტებს, სტატისტიკას, რომელიც, ძირითადად, სოციალური გამოკითხვების შედეგად ვლინდება, სტატისტიკას, რომლის მიხედვითაც საქართველოდან ასეული ათასობით ადამიანია ემიგრაციაში წასული და ამ ქვეყნის ბედი სწორედ ამ ემიგრანტებზეა დამოკიდებული, სტატისტიკას, რომლის მიხედვითაც ამ მცირე ერში სამოცდაათი ათასზე მეტი ბავშვი შიმშილობს. ყველაზე მძიმე ის არის, რომ დღეს სოციალური გამოკითხვების გარეშეც, შეუიარაღებელი თვალითაც კი არის შესაძლებლებელი იმის დანახვა, რამდენად უჭირს მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს სხვადასხვა მიმართულებით - უმრავი სოციალური პრობლემის წინაშე ვდგავართ.

- აზრთა სხვაობა გამოიწვია პარლამენტის მიერ „მოსმენების“ შესახებ კანონის მიღებამ და სახალხო დამცველის არჩევის წესთან დაკავშირებით მმართველი პარტიის პოზიციამ, თქვენი აზრი ამის შესახებ?

- მხოლოდ ერთი შთაბეჭდილება მრჩება, რაც აქამდეც მქონდა, „ქართული ოცნება“ ცდილობს საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის წართმევას. „მოსმენების კანონი“ უსაზღვროს ხდის მმართველი პარტიის მზაკვრულ განზრახვებს, პირდაპირ ეწინააღმდეგება ადამიანების უფლებებს, ეწინააღმდეგება 12-პუნქტიან რეკომენდაციებს. რაც შეეხება სახალხო დამცველის არჩევის წესის შეცვლას, რადგან ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა, ეს იმას ნიშნავს, რომ „ოცნებას“ ზემოხსენებულის ეშინია, უფრთხის, რადგან ისეთი ფართო არეალი არ ეძლევა სამოძრაოდ, რამდენიც მას სურს. ქალბატონი ლომჯარია, ნამდვილად ღირსეული, მაღალი სამოქალაქო თვითშეგნების მქონე ადამიანი ყელში ეჩხირება მმართველ პარტიას, რომელიც ამ ინსტიტუტის მიუკერძოებლობას ვერ ეგუება. იმედი მაქვს, საწადელს ვერ მიაღწევენ.

- როგორც ცნობილია, ოპოზიციის ნაწილმა („ნაცმოძრაობამ“) რიგგარეშე არჩევნების საკითხი დააყენა და საპროტესტო აქციების გამართვაც დაანონსა, თქვენი პარტიის პოზიცია როგორია?

- ამაზე მსჯელობა მიმდინარეობს. ჩვენ არ ვუფრთხით ქუჩიდან ბრძოლას და საკანონმდებლო ორგანოშიც არ ვზოგავთ თავს. რიგგარეშე არჩევნები ნიშნავს ცვლილებებს, რომლებიც საქართველოს ჰაერივით სჭირდება.

- არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი („ლეიბორისტული პარტია“, „ევროპული საქართველო“) მოუწოდებს საპარლამენტო ოპოზიციას, დატოვოს პარლამენტი, თუ განიხილება

თუნდაც თქვენს პარტიაში პარლამენტის დატოვება?

- ჯერჯერობით ამაზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ფაქტი ერთია - აქამდე „ლელო“ ცდილობდა და ყოველთვის შეეცდება ოპოზიციური (არა მხოლოდ პოლიტიკური გაერთიანებები, არამედ ოპოზიციურად განწყობილი ადამიანებიც, აპარტიულებიც, აქტივისტებიც და ა.შ.) ერთიანობის შენარჩუნებას. ჩვენ ორივე ფრონტზე ბრძოლის საკმაოდ კარგი გამოცდილება გვაქვს - ქუჩაშიც და პარლამენტშიც. თავდაპირველად არც ბოიკოტზე დაგვიხვია უკან და არ შევსულვართ მანამდე, სანამ ხელში სერიოზული ბერკეტი არ ჩაგვიგარდა (შარლ მიშელის დოკუმენტის სახით), რომელიც შემდგომ „ქართულმა ოცნებამ“ ანულირებულად გამოაცხადა.

- ოპოზიციის წევრები ხაზს უსვამენ, რომ დასავლეთის შენიშვნები ხელისუფლების მიმართ კრიტიკულია და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ქვეყანამ გაისადაც ვერ მიიღოს კანდიდატის სტატუსი, რას ფიქრობთ?

- უბრალოდ, ფაქტის კონსტატაცია: დასავლეთისგან რეკომენდაციების მიღებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მმართველი ძალა ცდილობს ძალაში შეიყვანოს ეგრეთ წოდებული „მოსმენების კანონი“ - ფარული მიყურადება, რაც პირდაპირ ადამიანების უფლებების დაცვას ეწინააღმდეგება და, შესაბამისად, 12-პუნქტიან რეკომენდაციებსაც. პირადად მე ჯერჯერობით ვერცერთი წინ გადადგმული ნაბიჯი, ინიციატივა ვერ დავინახე 12 პუნქტიდან რომელიმეს შესრულებისთვის. ხბოს, გოჭების და სხვა ცხოველების უფლებებზე ზრუნვა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ როდესაც სახელმწიფოში სერიოზული საფრთხის წინაშეა დემოკრატიული ღირებულებები და ამ პრობლემების გამო დღითი დღე ექმნება საფრთხე ქვეყნის ევროპულ მომავალს, თვალები უნდა გაახილო და პრიორიტეტები გადაანაწილო.

- ამ ბოლო დროს მმართველი გუნდის ყოფილი წევრები (ხუნდაძე, სუბარი, ყაველაშვილი) ხშირად ანტიდასავლურ განცხადებებს აკეთებენ, რაზეც საუბრობენ არა მხოლოდ ოპოზიციონერები, არამედ ექსპერტებიც (ხუხაშვილი). რამდენად სახიფათოა მსგავსი ანტიდასავლური განცხადებები (თითქოს დასავლეთს საქართველოს ომში ჩათრევა სურს)?

- „დასავლეთს საქართველოს ომში ჩათრევა სურს“ არის პირდაპირ პროორუსული ნარატივი და ყოველი ინდივიდი, ვინც ამ მითს მიჰყვება, აკეთებს რუსულ საქმეს საქართველოს ტერიტორიაზე! უშუალოდ ჩემთვის და დარწმუნებული ვარ, ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ზემოხსენებულნი უფუნქციო პოლიტიკური მანეკენები არიან, მაგრამ დეზინფორმაცია, რომლის გავრცელებასაც ისინი საზოგადოებაში ცდილობენ, საკმაოდ დიდი საფრთხის შემცველია და თუ ქართველმა ხალხმა ამ მიმართულებით დროულად არ მოახდინა რეაგირება, შედეგი საკმაოდ მძიმე იქნება.

- ექსპერტები არც ოპოზიციას ინდობენ. მათი თქმით, ოპოზიციური სპექტრი მოსახლეობას ვერ უჩვენებს ქვეყნის განვითარების კონკრეტულ გეგმას. თქვენი პარტია ამ მხრივ რამდენად თანმიმდევრულია?

- პოლიტიკურმა გუნდმა „ლელო საქართველოსთვის“ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლისთანავე საზოგადოებას წარუდგინა გეგმა ყველა იმ მიმართულებით, სადაც სახელმწიფო კრიზისს განიცდის. საუბარი მაქვს მარშალის გეგმაზე, რომელიც არ არის არც ზღაპარი და არც სადღეგრძელო. მარშალის გეგმა თავიდან ბოლომდე იმის ფორმულაა, თუ როგორ უნდა დაიძრას სახელმწიფო პროგრესული გზით. ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ და დღემდე ვცდილობთ, საზოგადოებამდე თითოეული საკითხი საკმაოდ მარტივი ენით მივიტანოთ, დავარწმუნოთ მის ეფექტურობაში, რამდენად რეალურია ის რეგიონალური თვალსაზრისითაც.

- ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ თუ ოპოზიციის ძირითადი ნაწილი საარჩევნოდ მძლავრ ბლოკად არ გაერთიანდება, გაუჭირდება მომავალ არჩევნებში გამარჯვება... „ლელო საქართველოსთვის“ თუ აპირებს რომელიმე პარტიასთან გაერთიანებას?

- „ლელო საქართველოსთვის“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე იყო ერთ-ერთი პირველი ინიციატორი, რომ „ქართული ოცნების“ დიდძალ და ბურუსით მოცულ რესურსებს ოპოზიცია ერთიანად დაპირისპირებოდა. ერთიანი ოპოზიციური ძალების დემონსტრირება პირველად სწორედ ბათუმში მოხდა და შედეგიც ყველამ დაინახა - ბათუმმა აირჩია ოპოზიცია საკრებულოში და მერადაც აირჩია ადამიანი ოპოზიციიდან, მიუხედავად უამრავი სიბინძურისა, რაც არჩევნების პროცესში ხდებოდა, მაინც ეს მოცემულობა იყო, სანამ მმართველმა ძალამ ბოლოს ხელოვნურად არ შეცვალა ის. ასე რომ, თითქმის დარწმუნებული ვარ, ოპოზიცია ისევ ერთიანი ძალებით შეეცდება ამ ქვეყნის მომავლისთვის ბრძოლას. რა თქმა უნდა, საკუთარი იდენტობა ყველა პოლიტიკურ გუნდს შეუნარჩუნდება, მაგრამ პრიორიტეტული მაინც ერის ინტერესების დაცვა იქნება.

- მმართველი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მომავალი არჩევნები ელექტრონული წესით ჩატარდება, თუმცა ცესკოს პარიტეტულ დაკომპლექტებაზე არ უსაუბრია, ამ მიმართებით ოპოზიცია რამდენად ერთიანია?

- არჩევნების პროცესი იმ ფორმულირებითა და სტრუქტურით, რომლითაც აქამდე ტარდებოდა, მმართველ ძალას ყოველთვის ხელსაყრელ პოზიციაში ამყოფებდა. მათთვის არსებობდა ის ფუფუნება (თუ არ შეიცვალა, კვლავ იარსებებს), რომ გამოეყენებინათ ნებისმიერი ბინძური მეთოდი (ფული, შავი სამყარო, ფსევდოკომისიის წევრები, კარუსელი, მოსყიდვა, დაშინება და ა.შ.) და შემდგომ ამაზე პასუხი არ ეგოთ. არჩევნების ელექტრონული (ნაწილობრივ) ფორმატით ჩატარება და ცესკოს პარიტეტულად დაკომპლექტება მეტწილად აღმოფხვრის იმ ხინჯებს და „ტრიუკების“ რეალიზების შესაძლებლობას, რასაც აქამდე მმართველი პარტია აკეთებდა. ჩვენთვის ნათელია, რომ საზოგადოების უმრავლესობას სურს ცვლილებები და არსებული რეალობის შეცვლა. ამ მოთხოვნებს „ქართული ოცნება“ ვერ აკმაყოფილებს, შესაბამისად, ის უნდა ჩამოშორდეს მართვის სადავეებს. ოპოზიცია ერთიანია იმ აზრის ირგვლივ, რომ საზოგადოების უმრავლესობის ნება არჩევნებში ბინძური მეთოდების გამოყენებითა და „გამარჯვებით“ არ უნდა დაიჩრდილოს. ეს ნიჰილიზმს კიდევ უფრო მასშტაბურად გაზრდის მოსახლეობაში და პოლიტიკურ კრიზისამდე კი არა, კოლაფსამდე მივალთ.

- არანაკლებ მნიშვნელოვან გარემოებაზე მსურს თქვენი ყურადღების გამახვილება. ადგილობრივმა არჩევნებმა ცხადყო, რომ მოსახლეობა ინდიფერენტულია, რას აკეთებს თუნდაც თქვენი პარტია, რომ პასიური ამომრჩევლის ხმა არ დაიკარგოს?

- „ლელოს“ გუნდის წევრები დაფუძნების დღიდან დღემდე ვცდილობთ, დავარწმუნოთ საზოგადოება, რომ თუ გვსურს დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, თუ გვსურს, რომ კვლავ გავიდგათ ევროპული ფესვები, თუ გვსურს განვითარება, პროგრესი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისგან თავის დაღწევა, ამისთვის პირველი ნაბიჯი არჩევნებზე მისვლა და არჩევანის გაკეთებაა. ყოველგვარი პათეტიკისა და ბუტაფორიულობის გარეშე უნდა აღიქვას თითოეულმა მოქალაქემ, რომ თითოეულის ხმა უმნიშვნელოვანესია, თითო დადებული აგურია რაღაც უზარმაზარის შენებაში, არსებული რეალობის შეცვლისთვის და მომავლისთვის.

- დაბოლოს, არახალია, რომ ჩვენი ქვეყანა დიდადაა დამოკიდებული დასავლეთის მხარდაჭერაზე, რა გავლენა ექნება უკრაინის ომს საქართველოს მომავალზე?

- დასავლეთის მხარდაჭერა საკმაოდ დიდი ბერკეტია საქართველოსთვის ჩვენი განვითარების გზაზე, დასავლეთის მხარდაჭერა, მინიშნებები, რეკომენდაციები თუ კონკრეტული გეგმები არის ფორმულა საქართველოს ევროინტეგრაციისა. დასავლეთის მხარდაჭერას რამდენად დიდი ძალა და მნიშვნელობა აქვს, ამას ნათლად უკრაინის მაგალითზეც ვხედავთ. უკრაინა ცივილიზებული სამყაროს სახელითა და დასავლეთის მხარდაჭერით ებრძვის, ამარცხებს ბოროტებას და ზემოხსენებული სამყაროს პირველ მტერს. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩემი პროგნოზი გამართლდება და რუსეთის ფედერაცია ამ უმსხვილესი და მასშტაბური ტერორისტული აქტის შედეგებს მოიმკის (სხვას ვერაფერს დავარქმევ). ამჟამინდელი სიტუაციით ეგეთი პირიც უჩანს. ამ ფაქტს საქართველოს მომავალზე, რა თქმა უნდა, დადებითი გავლენა ექნება. ისტორიულად, ყოველი იმპერია მტვრად იქცა. რუსეთის იმპერიის მტვრად ქცევა საქართველოში პროორუსიზმთან ბრძოლაში გამარჯვებას ნიშნავს!.

უცხოეთი

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა და აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ნენსი პელოსიმ სომხეთსა და აშშ-ს შორის ორმხრივი ურთიერთობები და რეგიონში მიმდინარე პროცესები განიხილეს. პელოსიმ ხაზი გაუსვა, რომ სომხეთში მყოფი აშშ-ის დელეგაციის წევრები სომხეთის მეგობრები და მხარდამჭერები არიან. „სომხეთის დემოკრატიის მხარდაჭერის, სომეხთა გენოციდის აღიარების რეზოლუციის, თურქეთთან მთიანი ყარაბაღის საკითხზე დაპირისპირების და ყველა სხვა თვალსაზრისით, ჩვენ სომხეთის მეგობრები ვართ“, - აღნიშნა ერევანში ვიზიტით მყოფმა პელოსიმ. „ნენსი პელოსი ცნობილია როგორც პროსომეხი პოლიტიკოსი - აზერბაიჯანის წინააღმდეგ მისი უსაფუძვლო და უსამართლო ბრალდებები მიუღებელია“, - აცხადებენ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს შორის სატელეფონო საუბარი შედგა, რომლის დროსაც ბლინკენმა ალიევს მოუწოდა, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული ყველა გადაუჭრელი საკითხის მშვიდობიანი გზით გადასაწყვეტად იმუშაოს, - ინფორმაციას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ავრცელებს. მათივე ცნობით, ბლინკენმა ალიევს ცეცხლის რეჟიმის დაცვისა და სამხედრო ძალების გაყვანისკენაც მოუწოდა.

* * *

ჩვენ გვსურს ჩვენს რეგიონში ნორმალიზაციის პროცესები წარმატებით დასრულდეს და რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა ხანგრძლივი დროით იყოს უზრუნველყოფილი, - ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა. დღეს იგი ყარაბაღის ზანგელანის რეგიონს ეწვევა, სადაც აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან ერთად აეროპორტს გახსნის. „რაც შეეხება ყარაბაღის საკითხს, მნიშვნელოვანია, რომ რეგიონის ყველა ქვეყანამ უპირობო და მტკიცე მხარდაჭერა გამოხატოს აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობისადმი. ილჰამ ალიევმა თქვა, გახსნის შემდეგ ჩვენ წავალთ ჯაბრაილის რაიონშიო. შესაძლოა მან იქ მოიწვიოს რამდენიმე ლიდერიც, - განაცხადა ერდოღანმა და დასძინა, რომ აზერბაიჯანელი კოლეგისგან მიიღო ინფორმაცია სომხეთის საზღვარზე „სამხედრო ოპერაციის“ დასრულების შესახებ.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, კორონავირუსის პანდემია დასრულდა. „ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს კოვიდთან დაკავშირებული პრობლემა, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრს ვმუშაობთ მასზე, მაგრამ პანდემია დასრულდა. თუ ამჩნევთ, არავის უკეთია პირბადე. როგორც ჩანს, ყველა საკმაოდ კარგ ფორმაშია“, - აღნიშნა მან.

* * *

ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში, „გრინ ვილიჯის“ ამერიკულ ბაზაზე სარაკეტო იერიში მიიტანეს, - ინფორმაციას აშშ-ის ცენტრალური სარდლობა ავრცელებს. მათივე ცნობით, ბაზის მიმართულებით სამი, 107-მილიმეტრიანი რაკეტა ისროლეს, თუმცა მიზანს ვერცერთმა მიაღწია და შესაბამისად, აშშ-ის ან კოალიციური ძალების პირად შემადგენლობას და აღჭურვილობას ზიანი არ მიყენებია. მომხდარს აშშ-ის ცენტრალური სარდლობა იძიებს.

მოამზადა
ია შველიძემ

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს პარლამენტი ახლო მომავალში განიხილავს

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

საქართველოს მმართველმა პარტიამ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებები შეიმუშავა, რომელიც აწესებს ახალ შეზღუდვებს და აფართოებს მოქმედების არეალს

კანონპროექტი უკვე ინიცირებულია და ახლო მომავალში მას პარლამენტი განიხილავს. ინიციატივის თანახმად, კანონის ნორმები გავრცელდება არა მხოლოდ ადგილობრივ მედიასაშუალებებზე, არამედ ვიდეოპლატფორმებზე, ასევე, იმ მედიასა და ვიდეოპლატფორმებზე, რომლებსაც საქართველოში ოფისები აქვთ და რომელთა სარედაქციო გადაწყვეტილებებსაც საქართველოში იღებენ.

ახალი წესები შეეხება ასევე მედიასაშუალებებს, რომლის თანამშრომელთა ძირითადი ნაწილიც საქართველოში მუშაობს, დამოუკიდებლად იმისა, თუ სად მდებარეობს მათი ოფისები, ასევე მასმედიაზე, რომელიც საქართველოს თანამგზავრული კომუნიკაციებით სარგებლობს და ქართული თანამგზავრების ფუნქციურ რესურსებს იყენებს.

ცვლილებების მიღების შემთხვევაში, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი, ასევე, შეეხება საქართველოში დაფუძნებულ ვიდეოპლატფორმებს, რომლებიც საერთაშორისო კომპანიების ნაწილი არიან.

კანონის მოქმედება გავრცელდება როგორც ტელეარხებზე კონკრეტული მაუწყებლობის ბადით, ისე პლატფორმებზე, სადაც მომხმარებელს თავად შეუძლია სასურველი პროგრამის ან ვიდეოს არჩევა. ასეთმა პლატფორმებმა ავტორიზაცია უნდა გაიარონ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სხვა მედიასაშუალებების მსგავსად, ასევე, უნდა აიღონ პასუხისმგებლობა კონტენტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

ცვლილებების თანახმად, ვიდეოპლატფორმებზე კონტენტი არ უნდა იყოს არასრულწლოვანთათვის საზიანო. კანონპროექტის თანახმად, ვიდეოპლატფორმებზე აიკრძალება ისეთი პროგრამების ან რეკლამის გავრცელება, რომელიც შეიცავს პირის ან ჯგუფის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობების, ეთნიკური, სოციალური წარმომავლობის, გენდერის, სქესის, გენდერული მიკუთვნების, ეროვნების, რასის, რელიგიის ან რწმენის, სექსუალური ორიენტაციის, კანის ფერის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, ქონების, დაბადების ან ასაკის ნიშნით ძალადობის ან ზიზღის წაქეზებას.

კანონში შესწორებები, ასევე, კრძალავს ტეროროზმისკენ მოწოდებების შემცველი პროგრამებისა და რეკლამების გავრცელებას. გარდა ამისა, შესაძლებელი იქნება მასმედიისა და იმ სუბიექტისგან, რომელზეც კანონი ვრცელდება, გამოქვეყნებული ინფორმაციის უარყოფის ან შესწორებების მოთხოვნა, ხოლო უარის შემთხვევაში - რეაგირებისთვის კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის მიმართვა.

ცვლილებებით იკრძალება იმ პროგრამებისა და რეკლამების ტრანსლაცია, რომლებიც მოკლე დროში ტექნიკური აუდიო ან ვიზუალური მონტაჟის ან ინფორმაციის სხვაგვარად გადაცემის გზით გავლენას ახდენენ მსმენელისა თუ მაყურებლის ქვეცნობიერზე ისე, რომ ისინი ნაწილობრივ ან სრულად ვერ აცნობიერებენ ამ გავლენას.

კანონპროექტის თანახმად, ტელემაუწყებლებმა, რომლებიც გადასცემენ „მთავარ მოვლენას“, უნდა მისცენ წვდომა სხვა, მცირე მაუწყებლებს მოკლე, მინიმუმ 90-წამიანი ვიდეოების გადაცემის გზით.

გარდა ამისა, კანონპროექტი კრძალავს ახალ ამბებში, საბავშვო და რელიგიურ პროგრამებში დაფინანსებული სიუჟეტების განთავსებას, ასევე, ზღუდავს რეკლამებს საბავშვო პროგრამებში. კერძოდ, საბავშვო პროგრამებში სარეკლამო ჭრა დაშვებული იქნება მხოლოდ 30 წუთის შემდეგ და რეკლამაში არ უნდა იყოს ტელემაღაზია.

როგორც კანონპროექტის ავტორები - მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები განმარტავენ, ცვლილებები განპირობებულია ევროკავშირის დირექტივის შესრულების აუცილებლობით.

აგროსერვისცენტრში...

დარინა გაგაიძე 27 48 93

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაზე და ფერმერთა ხელშემწყობ პროგრამებზე ვესაუბრეთ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ დირექტორ ***რაულ თავართქილაძეს.***

- ბატონო რაულ, როგორც ვიცით, თქვენთან ანაზღაურებად სტაჟირებას გადიან აგრარული დარგის სტუდენტები, რამდენი სტაჟიორი გყავთ ამჟამად?

- ჩვენთან 12 სტაჟიორი გადის პრაქტიკას გვარა-ხუცუბნისა და ჩაქვის სანერგე მეურნეობაში.

- თქვენი შეხედულებით, რა როლი ენიჭებათ ახალგაზრდებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში?

- ეს ის დარგია, რომელიც ბოლო წლებში სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობით სარგებლობს. ახალმა თაობამ ამ სფეროში უნდა აითვისოს თანამედროვე ტექნოლოგიები, ისარგებლოს უცხოეთში გაცვლითი პროგრამებით, რის საშუალებასაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აძლევს სტუდენტებს. იქ მიღებული თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა ჩვენთან უნდა დანერგონ და განავითარონ, რაც ამ დარგისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

- რამდენად მოთხოვნადია სოფლის მეურნეობაში ახალგაზრდა კადრები?

- იქიდან გამომდინარე, რომ ეს დარგი ვითარდება, კერძო სექტორში განსაკუთრეული მოთხოვნა წამოვიდა აგრონომებზე და მცენარეთა დამცველებზე.

- ფერმერებს თუ შეუძლიათ ციტრუსის ნერგების შეძენა აგროსერვისცენტრში?

- კი, აგროსერვისცენტრში უკვე დაწყებულია ციტრუსის ნერგების რეალიზაცია. ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ ჩაქვის ციტრუსოვანთა მეურნეობაში, შეღავათიან ფასებში, მაღალხარისხიანი საადრეო ჯიშის ერთწლიანი მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის, ვაშინგტონისა და გრეიპფრუტის ნერგები შეიძინონ. ხდება ძველი ჯიშების ახლით ჩანაცვლება.

- პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა“ წელსაც მოქმედია?

- რა თქმა უნდა, აგროსერვისცენტრი პროგრამას „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა“ წარმატებით ახორციელებს. მას სახელმწიფო 60-დან 70 %-მდე აფინანსებს. ვიმყოფებოდით ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფერმერებთან, რომლებმაც ისარგებლეს აღნიშნული პროგრამით. პროგრამამ ხელი შეუწყო მაღალპროდუქტიული ჯიშიანი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნამატის მიღებას.

- ბატონო რაულ, რა საკითხები განიხილეთ ახლახან მეფუტკრეებთან შეხვედრისას?

- სამუშაო შეხვედრაზე ვისაუბრეთ აჭარაში მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიულ საკითხებზე და სამომავლო გეგმებზე. მიმდინარე წელს ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრმა“ წარმატებით განახორციელა პროგრამა „მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა“. პროგრამის ფარგლებში მოხდა გამარჯვებული მეფუტკრე ფერმერების და აგრომეწარმეების მიერ შესყიდული ფუტკრის ოჯახების (ამანათ-ნაყარი) სუბსიდირება. პროგრამის განხორციელება ხელს უწყობს ფუტკრის ოჯახის გამრავლებას და მეფუტკრეობის დარგის განვითარებას. შეხვედრაზე განიხილეს აჭარაში ნატურალური თაფლის მწარმოებელთა პოპულარიზაციისა და მათი წარმოჩენის საკითხები.

უკრაინა

რუსმა სამხედროებმა უკრაინაში შეჭრის დაწყების დღიდან 390 ბავშვი მოკლეს, - ინფორმაციას უკრაინის გენერალური პროკურატურა ავრცელებს. „რუსეთის ფედერაციის სრულმასშტაბიანი შეიარაღებული აგრესიის შედეგად უკრაინაში 1147-ზე მეტი ბავშვი დაიღუპა და დაშავდა. კერძოდ, პროკურატურის ოფიციალური ინფორმაციით, დაიღუპა 390 ბავშვი და დაშავდა 757-ზე მეტი“, - აცხადებენ უწყებაში. მათივე ცნობით, ეს მაჩვენებლები არ არის საბოლოო, რადგან გრძელდება მუშაობა დროებით ოკუპირებულ და გათავისუფლებულ ტერიტორიებზე აქტიური საომარი მოქმედებების ადგილებზე.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი აცხადებს, რომ ფრონტზე გარკვეული დროებითი სიმშვიდე ყველა უკრაინული ქალაქის გასათავისუფლებლად მომზადებაა. „ალბათ, ახლა ზოგიერთ თქვენგანს ეჩვენება, რომ გამარჯვებების სერიის შემდეგ რაღაც სიმშვიდე გვაქვს, მაგრამ ეს სიმშვიდე არ არის. ეს არის მზადება შემდეგი სერიისთვის. ყველა ჩვენგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვების მომდევნო სერიისთვის, რომელიც უნდა მოვისმინოთ. ვგულისხმობ ოკუპანტებისგან გათავისუფლებული ქალაქების სახელებს“, - აღნიშნა ზელენსკიმ და დასძინა, რომ ოკუპანტებისგან მთელი უკრაინა უნდა გათავისუფლდეს.

* * *

რუსმა ოკუპანტებმა ზაპოროჟიეზე სარაკეტო თავდასხმა განახორციელეს, - ამის შესახებ ზაპოროჟიეს რეგიონალური სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალექსანდრ სტარუხი იუწყება. „მტერმა მორიგი სარაკეტო იერიში მიიტანა საოლქო ცენტრზე. ცნობილია რვა „ჩამოფრენის“ შესახებ. სამიზნე კვლავ ინფრასტრუქტურული ობიექტები იყო“, - წერს სტარუხი. მისივე ინფორმაციით, დაზარალებულების შესახებ ინფორმაცია ზუსტდება. ამასთან, ზაპოროჟიეს მერის მოვალეობის შემსრულებელმა ანატოლი კურტევმა განაცხადა, რომ წინასწარი მონაცემებით, ოკუპანტებმა ორ ინფრასტრუქტურულ ობიექტს დაარტყეს.

* * *

რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა უკრაინის ნიკოლაევის ოლქში მდებარე სამხრეთ უკრაინის ატომური ელექტროსადგური დაბომბეს. რაკეტა ატომური რეაქტორიდან 300 მეტრში აფეთქდა.

აფეთქების შედეგად სადგურში მინები ჩაიმსხვრა. გაითიშა ატომური სადგურის გვერდით მდებარე ალექსანდროვის ჰიდროელექტროსადგურის აგრეგატი და მაღალი ძაბვის სამი ელექტროგადამცემი ხაზი. სარაკეტო იერიშის შედეგად არავინ დაშავებულა. ამჟამად ატომური სადგურის სამი ენერგობლოკი ნორმალურად მუშაობს.

* * *

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი აცხადებს, რომ რუსეთი ევროპის წინააღმდეგ ჰიბრიდულ ომს აწარმოებს, რაც გაზრდილ გადასახადებში კარგად ჩანს. „უნდა გვესმოდეს: რუსეთი აწარმოებს ჰიბრიდულ ომს ევროპის წინააღმდეგ. ევროპელები ამას თავიანთ გადასახადებში ხედავენ. უკრაინის გამარჯვება გაათავისუფლებს ევროპას რუსეთის ფედერაციის შანტაჟისგან და ბოლოს მოუღებს მაღალ ტარიფებს“, - წერს პოდოლიაკი „ტვიტერზე“. მისი თქმით, ტანკები და ქვეითთა საბრძოლო მანქანები ყველაზე მცირე ინვესტიციაა ევროპული ოჯახების კეთილდღეობისთვის.

* * *

რუსეთმა, უკრაინაში განლაგებული ჯარების გასაძლიერებლად, ქალაქ ტამბოვიდან 400 პატიმარი გაგზავნა, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულისთვის იხდიდნენ სასჯელს, - ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. უწყების ცნობით, გარდა ამისა, კრასნოდარის მხარეში „ავღანელი მეომრების“ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაევალათ ადგილობრივი მოსახლეობისგან ფულის შეგროვება მოხალისეთა რეგიონალური ბატალიონისთვის თბილი ტანსაცმლის შესაძენად. უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინფორმაციით, რუსულმა ძალებმა გასული დღის განმავლობაში უკრაინის ტერიტორიაზე 3 სარაკეტო და 22 ავიადარტყმა განახორციელეს, რის შედეგადაც 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტის ინფრასტრუქტურა დაზიანდა.

* * *

ხარკოვის ოლქის სოფელ სტრელეჩაში ფსიქიატრიული საავადმყოფოს ოთხი თანამშრომელი დაიღუპა, როცა ისინი საავადმყოფოს დაბომბვის დროს პაციენტების ევაკუაციას ცდილობდნენ, - ინფორმაციას უკრაინული მედია ხარკოვის საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ოლეგ სინეგუბოვზე დაყრდნობით ავრცელებს. „მედიკოსები, დაბომბვის დროსაც კი, სიცოცხლის რისკის ფასად ცდილობდნენ ავადმყოფების გადარჩენას. ევაკუაციის დროს რუსებმა მასიური დაბომბვა დაიწყეს“, - წერს სინეგუბოვი. მისი თქმით, დაიღუპა 4 მედიკოსი, 2 პაციენტი კი დაშავდა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

რამ დააინტერესა ამერიკელი გამომცემელი ნათია ხადურის შემოქმედებაში?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ნათია ხადური - პროზაიკოსი, პოეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, „პერსონა 2021-ის“ ტიტულის მფლობელი, იმ წარმატებულ ადამიანებს მიეკუთვნება, საკუთარი განვითარებისთვის მიზანმიმართულად რომ ირჯებიან და თავიანთი აზროვნებითა და მოქმედებით გამარჯვებას აღწევენ. ამის დასტურია საგულისხმო და სასიხარულო ფაქტი - ამერიკელ გამომცემელთან წარმატებით თანამშრომლობა. ნათიას რომანს „იერუსალიმამდე“ მალე ინგლისურად იხილავს მკითხველი. ქალბატონი ნათია ამჟამად ამერიკაშია, ნიუ-იორკში ცხოვრობს და მუშაობს. იგი თავისი შრომისმოყვარეობით ადამიანებს მაგალითს აძლევს და მკაფიოდ აჩვენებს, თუ რა შეუძლია მოტივირებულ პიროვნებას, მატერიალიზებულ აზრს. დღეს ქალბატონი ნათია გაზეთ „აჭარის“ სტუმარია.



- სიკვდილი სიყვარულს ვერ კლავს... კი, ასეა და მაინც, სიკვდილი უმრავლესობას ხომ აშინებს?

- დიახ, სიკვდილი ადამიანის ყველაზე ვერაგი და ამაზრზენი მტერია. სიკვდილი არის სიცოცხლის საპირისპირო მდგომარეობა. სიცოცხლეში ყველაფრის უნარ-შესაძლებლობა გვაქვს, სიკვდილის მდგომარეობაში - არაფრის. სხვათა შორის, ამ საკითხს ჩემს მესამე რომანშიც განვიხილავ. სოლომონის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ყველაფერი, რასაც ხელს მოჰკიდებთ, გულმოდგინეთ აკეთე, რადგან არც საქმე, არც ჩანაფიქრი, არც ცოდნა და არც სიბრძნე არ არის სამარეში, სადაც მიდიხარ“. ასეთი მდგომარეობა კი თავისთავად არის საზარელი.

- სიძნელეებს არ ეპუებით, ორი შვილის გამზრდელი დედა წარმატებული ადამიანი ხართ. რამ განაპირობა თქვენი ეს შემართება და მოტივაცია?

- ამისი მთავარი აქტორი, პირველ რიგში, შენი შინაგანი სამყარო, თანდაყოლილი ბუნება არის, შემდეგი აქტორი, უკვე - პასუხისმგებლობა. მე არ მინდოდა ჩემი პიროვნების წინაშე ვყოფილიყავი უპასუხისმგებლო, რომელსაც მუდმივად განვითარება უნდოდა. ამ პასუხისმგებლობას, მგონი დღესაც ყაირათიანად ვართმევ თავს, რადგან პიროვნული განვითარების პროცესი ისევ აქტიურ ფაზაშია.

- წიგნი, რომელიც სულიერად გაძლიერებთ?

- ბიბლია, ეს არის ერთადერთი წიგნი, რომლის ავტორიც ღმერთია, ამიტომ, სულიერად განვითარების პირდაპირპროპორციულია. ეს არის ერთადერთი წიგნი, რაც კი კაცობრიობის ისტორიაში არსებულა, რომელიც ყველაზე მეტ ენაზეა ნათარგმნი და ყველაზე დიდი ტირაჟით არის გამოცემული.

- რა მიგვაჩნიათ ადამიანის პიროვნული სიძლიერის წყაროდ და რას ურჩევდით ადამიანებს, გამოწვევებს რომ გაუმკლავდნენ?

- აქაც არ მექნება მარტივი პასუხი. ადამიანის სიძლიერეს განაპირობებს მისი ურყევი რწმენა ღმერთისადმი, ცოდნა, ინტელექტი, ერთგულების, სიყვარულის უნარის, შრომისა და ძალისხმევის ერთობლიობა, რაც ყველა საქმეში უპირატესია. თუ სიყვარულით არ აკეთებ საქმეს და ერთგულება არ გეყო, რომ შედეგამდე მისასვლელ გზაზე სირთულეები გადალახო, ალბათ, ვერც ვერასდროს დადგება შედეგი. ძლიერი და წარმატებული ადამიანის ნახელავი ერთი შეხედვით ისე მარტივი ჩანს, თითქოს ერთ დღეში შეიქმნა, ერთ დღეში დაიბადა. არადა, უდიდესი შრომისა და ძალისხმევის პროდუქტი არის ყოველი წარმატებული საქმე. ჩემს შემთხვევაში, ეს გაცილებით რთული არის, რადგან ყველაფერს, რასაც ვაკეთებ, ვაკეთებ მარტო, ჩემი გონების, გულისა და ხელების იმედად. მხოლოდ ღმერთმა იცის, რასაც ახლა ვამბობ, რადგან ძნელი არის ზოგჯერ ასეთი ამბების დაჯერება.

„ჩემი ქალაქი გორია და მხოლოდ ის უნდა მიყვარდეს-მეთქი, ამით ნიუ-იორკს კი არ დააკლდებოდა რამე, არამედ ჩემი შეყვარების უნარის თვალსაწიერი იქნებოდა ვიწრო. გორი ჩემი უპირობო სიყვარულია და ის სულ იქნება ჩემი სიყვარულის მასწავლებელი, მაგრამ, რაც დიდი ქალაქების შეყვარებით შევიძინე, ნამდვილი განძია. ერთია, უპირობოდ რომ გიყვარს და - მეორე, რომ შეგიყვარდა...“

- ამერიკელი გამომცემლის დაინტერესება დიდი მიღწევაა, თქვენს რომანს „იერუსალიმამდე“ მალე მსოფლიო ბაზარზე ინგლისურად იხილავს მკითხველი, გილოცავთ. რას გვეტყვით ამის შესახებ?

- ეს საოცარი ფაქტი იყო. როდესაც ჩემი რომანიდან მათ ამონარიდი გავუგზავნე წიგნის შინაარსის წარმოსახვისთვის, დაახლოებით 30 წუთში მივიღე შეტყობინება. „ჩვენ უამრავ ავტორს ვესაუბრებით, მაგრამ ვიტოვებთ რამდენიმე ნაწერს. აი, თქვენი ნაწერი კი მაიძულებს ხელიდან არ დავდო ის. დავიწყოთ თანამშრომლობა დღესვე“. რაღა თქმა უნდა, აღვფრთოვანდი. მარტივი არ არის, მოიპოვო მათი ასეთი კეთილგანწყობა. შემდეგ წიგნის ყდის დიზაინზე მკითხეს. ვუთხარი, რომ ის უკვე მქონდა და დიზაინის შეცვლას არ ვაპირებდი. როდესაც ისიც ნახეს, მოწონება და ინტერესი ერთდროულად დააფიქსირეს. ბოლოს ვუთხარი, რომ წიგნის ყდის დიზაინს ჰქონდა მიღებული ჯილდო „ლიტერატურული დიზაინი“. მოკლედ, ჩემი და მათი ურთიერთობა პირველივე წინადადებიდან საინტერესოდ დაიწყო. დანარჩენს შედეგი გვანახებს, უდიდესი პროექტია და ჩემი პასუხისმგებლობაც დიდია, ასევე, ჩემი თავდაჯერებულობა, რაც მაფიქრებინებს, რომ ყველაფერი კარგი წინ არის...

- ახლა ნიუ-იორკში ცხოვრობთ. როგორია ემიგრანტის ცხოვრება და, როგორც ლეგალიზებულს, რა უფლებები და მოვალეობები გაქვთ, ასევე, როგორია თქვენი თვალით დანახული ამერიკა და ამერიკელები?

- საწყის ეტაპზე ყველასთვის (ლეგალი, არალეგალი) ერთნაირად რთულია უცხო ქვეყანაში ფეხის ადგმა. აქ უფრო ფსიქოლოგიური სტაბილურობაა შეგუების და სირთულეების გადალახვის მთავარი აქტორი. ჩემს შემთხვევაში, ყველაფერი გაცილებით მარტივად აეწყო, რადგან ძალიან მარტივად ჩამოვედი ამ ქვეყანაში და საბუთებიც საკმაოდ გამართული მაქვს საწყისისთვის. რაც შეეხება ამ ბუმბერაზ ქვეყანაში ფეხის ადგმას, ესეც საოცარი შემართებით დავიწყე და ასეც გრძელდება. ჯერ მხოლოდ ოთხი თვეა, რაც ჩამოვედი და უკვე ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. არ მინდა ის ადამიანები გავანაწყენო, ვინც ამ გზას ძალიან დიდი სირთულეების გადალახვის ხარჯზე გადის. დიახ, ეს სიმართლეა, რომ ქართველებს უდიდესი ძალისხმევისა და რისკის ფასად უჯდებათ აქ ჩამოსვლა. მაგრამ, ჩემს შემთხვევაში, ყველაფერი თითქოს ციდან მოვლენილ სასწაულს ჰგავს.

- სიმღერითა და ლექსით დაიწყო ჩემი და ამერიკის ურთიერთობაო - წერდით ერთ პოსტში...

- დიახ, ჩვენი ურთიერთობის პირველივე წუთებიდან ვმღერი, ლექსებს ვკითხულობ, ვწერ, მიხარია... ეს არ ნიშნავს, რომ უკვე ყველაფერი, რაც აქ ცხოვრებისთვის მჭირდება, ხელისგულზე მიდევს, მაგრამ, მაინც ბედნიერი ვარ, უფრო დავაკონკრეტებ: არ ვგულისხმობ, რომ ამერიკაში ყოფნაა თავისთავადი და ერთადერთი ბედნიერება. უფრო ის, რომ ჩემი ცხოვრება შევიდა ბედნიერების ფაზაში. შიგნიდან მოდის ეს ყველაფერი და ერევა ყველა გარე ფაქტორს, რომელიც დაბრკოლებებს წარმოშობს ხოლმე. ნიუ-იორკი - მესამე ქალაქი, რომელიც ჩემთვის საცხოვრებლად ავირჩიე... „ჩემთვის საცხოვრებად“, იმიტომ, რომ თანაცხოვრებისთვის არც ისე მარტივი ხასიათი მაქვს... მელოდია უნდა დაიბადოს ჩემსა და ჩემს არჩეულს შორის და უნდა გვინდოდეს სიხარულის ერთმანეთთან გაზიარება. ყველას და ყველაფერს სჭირდება თავის ენაზე საუბარი და სულის სიღრმეებში წვდომა. არ არის მარტივი ნიუ იორკის ჰეგემონისტური ზრახვების გამოცნობა, თუმცა უფრო რთულია, ცხოვრობდე მასში და არა გაგეგებოდეს რა მისი ბობოქარი გულისა, რომელსაც შეუძლია თავისნაირი უზარმაზარი სიხარული მიანიჭოს ადამიანს, ვისაც თანაზიარად გაიხდის... ჩემი თბილისი - ჩემი პირველი „არჩეული“... ასე ვიწყებ ხოლმე ამბის მოყოლას, როდესაც ცხოვრების ურთულეს დღეებს ვიხსენებ. ქალაქი, რომელმაც ჩემი პიროვნება და თანდაყოლილი ხასიათი შეაუღლა და მივიღე ერთიანი, მთლიანი „მე“... ქალაქი, რომელმაც ყველაფერი მომცა, რაც ჩემი სულის სისავსისთვის მინდოდა და ქალაქი, რომელიც ჩემი სახლია... შემდეგ იერუსალიმი იყო, ჩემი უტკბესი მოგონებების სამყარო და ჩემი შემდგარი სიყვარული... და აი, ნიუ-იორკი. გულს სჯერა, რომ ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდება, რადგან ჩვენი თანაცხოვრების პირველივე აკორდი მაჟორული გამით დაიწყო. ნურავინ მეტყვის, რომ სიყვარული მხოლოდ ერთი არსებობს. არავითარი! - შეყვარება იმდენჯერ შეიძლება, რამდენჯერაც სიცოცხლის შეგრძნება არის შესაძლებელი. მე მეორის შეყვარებით პირველისთვის არაფერი დამიკლია. პირიქითაც, გამოვასწორე კიდეც ჩემი ხასიათის ნაკლოვანებები და ვნანობ, რომ კიდევ მეტი ურთიერთობა იყო შესაძლებელი და ზოგჯერ დროს უმეცარივით ვფლანგავდი. ანუ, რამდენჯერაც შევიყვარებ, იმდენჯერ იზრდება ჩემში მცხოვრები ადამიანი. რა საოცარია ცხოვრება, არა? - მთავარია, ბედნიერება გინდოდეს და ისეთ კორიფეებსაც შეწვდები, ნიუ-იორკთან ურთიერთობების ხელოვნება რომ ჰქვია. ისე, ცოტა უხასიათო მეც ვარ, მაგრამ არაფერია... ვინ არის, რომ სულის ლაყვარდის უსასრულობას გრძნობდეს და მარტივად უყურებდეს ღმერთის შემოქმედებას. რომ დამეჩემებინა, ჩემი ქალაქი გორია და მხოლოდ ის უნდა მიყვარდეს-მეთქი, ამით ნიუ-იორკს კი არ დააკლდებოდა რამე, არამედ ჩემი შეყვარების უნარის თვალსაწიერი იქნებოდა ვიწრო. გორი ჩემი უპირობო სიყვარულია და ის სულ იქნება ჩემი სიყვარულის მასწავლებელი, მაგრამ, რაც დიდი ქალაქების შეყვარებით შევიძინე, ნამდვილი განძია. ერთია, უპირობოდ რომ გიყვარს და - მეორე, რომ შეგიყვარდა... ბედნიერებაა, რომ აღმოაჩენ, შეყვარება შეგიძლია. რადგან ვისაც არ უყვარს, ის არ იცნობს ღმერთს, რადგან ღმერთი სიყვარულია. სიყვარულისთვის მადლობა, ღმერთო.

- მოგზაურობა გიყვართ. ქვეყნები, სადაც იყავით და აპირებთ ჩასვლას. თქვენი, როგორც პროზაიკოსის ინტერესი და მიზანი ამ კუთხით?

- სიმართლე გითხრათ, ამჟამად ვერ დავიკვეხნი მრავალი ქვეყნის ხიბლის ნახვით, თუმცა, უახლოესი პერიოდიდან დავიწყებ და, ალბათ, ბევრს ვიმოგზაურებ. რამდენიმე ქვეყნის გაცნობით შემოვიფარგლები მხოლოდ. მოგზაურობა სხვა მასშტაბებია და ვიმედოვნებ, რომ ესეც გამოვა.

- როგორც იუწყებოდით, დაასრულეთ ახალი, მესამე რომანი „ჯარისკაცის საგზალი“, რომლის ელექტრონულმა ვერსიამ არაერთი გამოხმაურება ჰპოვა. მათგან განსაკუთრებით რომელმა დაგაფიქრათ, გააძლიერა თქვენი შემოქმედებითი მუხტი?

- დიახ, გიდასტურებთ ამ ინფორმაციას. რა თქმა უნდა, ჩემთვის მნიშვნელოვანია ყველა იმ ადამიანის შეფასება, ვისაც ხელეწიფება ეს - ლიტერატურის სპეციალისტები. თუმცა გადამწყვეტი სიტყვა, მაინც მკითხველს ეკუთვნის. დეკემბრის დასაწყისში ის უკვე ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის. უამრავ შეტყობინებას ვიღებ პირადად, სად შეიძინონ ეს წიგნი. ის მთავარი მუხტია, რომელიც ამ კითხვას აბსოლუტური გულწრფელობით პასუხობს.

- „სიკეთე ერთადერთია, რასაც დედამიწაზე აბნევ და ცაში ვარსკვლავებად გროვდება“ - ლამაზად თქვით, ეს თითქოს ბევრმა იცის და მაინც, სიკეთის ნაკლებობაა დედამიწაზე...

- იმიტომ, რომ სიკეთის ქმნა ყველაზე რთული მოქმედებაა. ასეთ ძალისხმევაზე კი ადამიანების უმრავლესობა არ მიდის. რადგან ეს ხშირ შემთხვევაში, პირადი კომფორტის ზონიდან გამოსვლასაც ნიშნავს. გააკეთო კეთილი საქმე, არ ნიშნავს, რომ უნდა იყო მდიდარი. ზოგჯერ ეს შესაძლოა საკუთარი ლუკმის სხვისთვის განაწილება - დათმობასაც ნიშნავდეს. ამიტომ არ მიდიან ადამიანები ასეთ მსხვერპლზე. უფრო ზუსტად, ასეთი მსხვერპლის გაღება მხოლოდ მათ ძალუძთ, ვისაც ეს ნიჭი ღმერთისგან ებოძა. სიკეთის ქმნის უნარი სულის მდგომარეობაა, რომელიც თანდაყოლილი ნიჭია.

- „ჩემი ცხოვრება შედგება ყველა ასაკისგან, ბავშვიც ვარ, მოხუციც და ახალგაზრდაც“. ეს თქვენი ავტოპორტრეტი ინტერესს იწვევს...

- დიახ, ასეა. თუ იმდენად გავიზრდები, რომ ჩემს პიროვნებაში ბავშვი აღარ იარსებებს, ვეღარასდროს ვიქნები გულწრფელი. მოხუცში ის დაბრძენებული, ხანდაზმული ვიგულისხმე, მთელი ცხოვრების ცოდნა და გამოცდილება რომ დაუგროვდა, ჩემი თავი კი - მათ შორის მდგომი ასაკი, ხან ერთს რომ მოიხდენს და ხან მეორეს. და უმთავრესი, ვთქვი, რომ ადამიანი რთული ფენომენია. მისი პიროვნების მდგენელი მხოლოდ ცალკე აღებული ერთი კონკრეტული პერიოდი ან ცხოვრების ეპიზოდი ვერ იქნება. ის არის იმ ყველა დღისა და ასაკის ერთობლიობა, რაც უკვე იყო და ისიც, რაც მომავალში უნდა იყოს. შესაძლოა, ვინმემ თქვას, მომავალში ვინ იქნება, დღეს ვერ განსაზღვრავსო. სწორედაც რომ განვსაზღვრავ, რადგანაც ოთხი ათეული წელი თავად განსაზღვრავს, ვინ იქნები მომავალში.

საქართველოში ერთ თვეში ხორბლის იმპორტი 418,6%-ით გაიზარდა

უფრო კონკრეტულად: ამა წლის აგვისტოში საქართველოში 11,633 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 29 775 ტონა ხორბალი შემოვიდა, წინა თვეში კი მხოლოდ 2,243 ათასი აშშ დოლარის 5,469 ტონა ხორბალი. ხორბლის იმპორტის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი რუსეთში საექსპორტო გადასახადის კლება გახდა.

ცნობისთვის: რუსეთის მიერ ხორბალზე საექსპორტო გადასახადის დაწესებამ ჯერ ხორბლის იმპორტის მკვეთრად შემცირება გამოიწვია, მაისის ბოლოსთვის კი საქართველოში ყველა დიდმა წისქვილკომბინატმა მუშაობა შეაჩერა.

სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც რუსეთში 17 აგვისტოს 193 ათასამდე ფერმერმა პუტინისგან ხორბალზე საბაჟო გადასახადის გაუქმება მოითხოვა. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მათ მყისიერად უარი უთხრა, ჭარბი მოსავლის გამო ხელოვნურად შემოღებულ საბაჟო გადასახადს რუსეთი ამცირებს - ივნისის ბოლოს 1 ტონა ხორბალზე 149 დოლარამდე გაზრდილი გადასახადი 19 სექტემბრისთვის უკვე 44,45 დოლარამდეა შემცირებული.

აღსანიშნავია, რომ აგვისტოში საქართველომ ხორბალი მთლიანად რუსეთისგან იყიდა, მხოლოდ 0,11 ტონა შემოვიდა გერმანიიდან.

ამირან გურიელიძე

კვალიფიციური კარდიოლოგები - ხულოში

- ხულოში დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი მოქმედებდა. «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, იგი ხელაღებით გააუქმეს და რეფერალური ჰოსპიტლით ჩაანაცვლეს. ამ სამკურნალო დაწესებულების სხვა ტიპის კლინიკით ჩანაცვლებამ შეასუსტა არა მარტო დედების, არამედ ყველას ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა. ხულო დატოვეს და ქვეყნის წამყვან კლინიკებში სამუშაოდ გადავიდნენ ადგილობრივი, მაღალკვალიფიციური ექიმები. მათ გადინებას თანამედროვე სამედიცინო აპარატურის გატანაც მოჰყვა. ადგილზე აღარ კეთდება ისეთი ქირურგიული ოპერაციები, თუნდაც კვალიფიციური გამოკვლევები, რაც საუკუნის დასაწყისში კეთდებოდა. ამ ხარვეზის შესავსებად თბილისის, ბათუმის წამყვანი კლინიკებიდან ექიმთა ბრიგადები ხულოში გვსტუმრობენ. საქართველოსა და აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების ხელმძღვანელებთან ერთად, ექიმთა ბრიგადების ხულოში მივლინებას ორგანიზებას უწევენ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე, ასევე საუწყებო დაწესებულებები, ზოგჯერ არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ამჯერადაც თბილისის გულიკო ჩაფიძის სახელობის კარდიოლოგიური კლინიკის 15-მდე ექიმი და ექთანი ჩამოვიდა ხულოში, - გვითხრა ქედლებელმა ასლან ტუნაძემ.

17 სექტემბერს კარდიოლოგიური კლინიკის ექიმებმა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ასოცირებული პროფესორის ბონდო მაკარაძის ხელმძღვანელობით, ბენეფიციართა მიღება დაიწყეს. ყოფილი რაიონული საავადმყოფოს პირველ სართულზე განალაგეს აპარატურები საქვეყნოდ ცნობილმა კარდიოლოგებმა. 10 საათისთვის ცოცხალი რიგი 150-ზე მეტ პაციენტს ითვლიდა. მათი უმრავლესობა ორმოცდაათ წელს გადაცილებული ქალები იყვნენ.

- ეს კარგი და ჩვენზე მორგებული აქციაა. კვალიფიციური მომსახურება გამიწიეს. ექიმი ბონდო მაკარაძე, აქციის ორგანიზატორები, პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე, საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილე ჯანრი უბირია, აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი შოთა (შუქრი) ყიფიანი უწევდნენ აქციას ორგანიზებას, - გვითხრა მრავალშვილიანმა დედამ, დაბა ხულოს მკვიდრმა ნათელა შაინიძემ.

კომენტარი ჯანრი უბირიას ვთხოვეთ: «პირველი მემორანდუმი ვეტერანების საქმეთა სამსახურსა და ჩაფიძის სახელობის კარდიოლოგიურ კლინიკას შორის რამდენიმე წლის წინ გაფორმდა, პერმანენტული აქციები ამ მემორანდუმის ფარგლებში ტარდება. ეს 162-ე აქცია გახლავთ. პირველ რიგში, ყურადღება ვეტერანებისა და მათი ოჯახების უფასო სამედიცინო გამოკვლევებს ეთმობა. ამ მემორანდუმის ფარგლებში კლინიკის ექიმების დახმარებით, ათასობით ვეტერანმა ისარგებლა. აქციებში ჩართული არიან ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატები, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები. ბენეფიციარები სარგებლობენ რეფერალური პროგრამებით - ჯანდაცვის საყოველთაო მომსახურების ფარგლებში ვუწევთ დახმარებას. იცით, რომ წამყვანი კლინიკების უმრავლესობა კერძო სტრუქტურაა, ზოგიერთი გამოკვლევა ისევ ფასიანია. ჩვენი მიზანია, კლინიკის ხელმძღვანელობასთან ერთად, ღირსეულ ადამიანებს უფასოდ მოვემსახუროთ. ანალოგიური აქციებით უკვე 20 ათასზე მეტ ვეტერანს, მისი ოჯახის წევრს გაეწია სამედიცინო პატრონაჟი. აქციაში დიდი წვლილი შეიტანა პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ. ის გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენს ვეტერანების მიმართ, ყურადღებას არც ჩვენ გვაკლებს, სამსახურის სახელით მადლობას ვუხდი მას.

გვესაუბრება აქციის ხელმძღვანელი ბონდო მაკარაძე.

- გულსისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა მსოფლიოში ისევ პირველ ადგილზეა, ამდენად, ასეთი სახის პრევენციული ღონისძიებები შესაძლებლობას იძლევა მინიმუმამდე დავიყვანოთ სიკვდილიანობის მაჩვენებელი. 2016 წლის 7 ივნისს პირველი აქცია ჩავატარეთ შუახევში, ჩემს მშობლიურ მუნიციპალიტეტში. თითქმის ყოველ შაბათ-კვირას უფასო სამედიცინო გამოკვლევებზე გავდივართ, მათ შორის, კონფლიქტის ზონებშიც. ეს აქციები ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ტარდება. ყველაზე მეტი ყურადღება ვეტერანებსა და მათი ოჯახების წევრებს ექცევათ. თუმცა ისე არ გამიგოთ, რომ სხვა ბენეფიციარებს სამედიცინო პატრონაჟის გარეშე ვტოვებდეთ. დიდი მხარდაჭერა გამოგვიცხადა ანზორ ბოლქვაძემ. ბენეფიციარების მობილიზებაც მან ითავა. კლინიკის ექიმები მისი დახვედრით განცვიფრებულნი არიან. მთხოვეს გაზეთის საშუალებით მისთვის მადლობა გადამეხადა. ვსარგებლობ შემთხვევით და საჯაროდ მადლობას ვუხდი. უკვე გადაწყდა, რომ ასეთი აქცია გაისად ქედის მუნიციპალიტეტში ჩატარდეს.

> ***2016 წლის 7 ივნისს პირველი აქცია ჩავატარეთ შუახევში, ჩემს მშობლიურ მუნიციპალიტეტში. თითქმის ყოველ შაბათ-კვირას უფასო სამედიცინო გამოკვლევებზე გავდივართ, მათ შორის, კონფლიქტის ზონებშიც. ეს აქციები ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ტარდება. ყველაზე მეტი ყურადღება ვეტერანებსა და მათი ოჯახების წევრებს ექცევათ. თუმცა ისე არ გამიგოთ, რომ სხვა ბენეფიციარებს სამედიცინო პატრონაჟის გარეშე ვტოვებდეთ***

- ხულოში დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი მოქმედებდა. ეს ფასიანი ფორმა, ალბათ, ბევრ ადამიანს ეზარებოდა. ეს ფაქტორი ხომ ასუსტებს ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის სისტემას?

- ეს ფასიანი ფორმა ბევრ ადამიანს ეზარებოდა, ეს ფაქტორი ასუსტებს ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის სისტემას.

ევროპასთან მოკლე მარშრუტითა და... რუსეთის გვერდის ავლით

საამისოდ ჩინეთმა, ყირგიზეთმა და უზბეკეთმა ამ უკანასკნელში 14 სექტემბერს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც დააჩქარებს რკინიგზის მშენებლობას ამ სამი ქვეყნის ევროპასთან სანქციებით დაზარალებული რუსეთის გვერდის ავლით დაკავშირებისთვის.

ხელშეკრულების გაფორმება პროექტს, რომელიც დიდი ხანია გეგმაშია, რეალობასთან კიდევ ერთი ნაბიჯით აახლოებს, რამეთუ აწესებს პირობებს კვლევების დასრულებისთვის 2023 წლამდე ყირგიზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის ასაშენებლად, რომელმაც ჩინეთსა და უზბეკეთში უკვე აშენებული რკინიგზის ხაზი ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს.

ყირგიზეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სამინისტროს განცხადების თანახმად, ამ კვლევებზე დასახარჯი თანხა ქვეყნებზე თანაბრად გადანაწილდება.

კონტრაქტი ადგენს საბოლოო მარშრუტსაც, რომელიც 280-კილომეტრიანი იქნება და 4,1 მილიარდ დოლარამდე დაჯდება. მისი აშენების შემთხვევაში ჩინეთიდან ევროპაში გადაზიდვები 900 კილომეტრითა და 8 დღით შემცირდება.

ჩინეთ-ყირგიზეთ-უზბეკეთის კორიდორის პროექტის ათვლის წერტილი 1997 წელია და მასზე საუბარი თითქმის 25 წელია მიმდინარეობს. მიუხედავად მაღალი რანგის პირების შეხვედრებისა, სამი ქვეყანა დღემდე ვერ თანხმდებოდა მარშრუტზე, დაფინანსების, ეკოლოგიურ თუ გეოპოლიტიკურ საკითხებზე და მისი განხორციელება ვერ მოხერხდა.

ომის წამოწყების გამო რუსეთზე დაწესებულმა დასავლურმა სანქციებმა შეამცირა ჩრდილოეთის დერეფნის მნიშვნელობა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მთავარი სატრანსპორტო მარშრუტი იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ამის ფონზე უფრო მეტს ფიქრობენ ქვეყნები შუა დერეფნის გამოყენებაზე, რომელიც ცენტრალურ აზიასა და კავკასიაზე გადის.

მიმდინარე მოვლენებმა პროექტი გააცოცხლა და მიიჩნევა, რომ ის ყველა მონაწილისთვის მომგებიანი იქნება, რადგან დასავლეთ ევროპას სამხრეთ კავკასიასა და თურქეთთან პირდაპირ დააკავშირებს. უზბეკეთი უკვე დაკავშირებულია თურქმენეთსა და ირანთან, ხოლო როდესაც ყირგიზეთის ნაწილზე დასრულდება რკინიგზის მშენებლობა, ეს გახდება ერთ-ერთი ყველაზე მოკლე გზა ჩინეთსა და ევროპას შორის, რაც ხელს შეუწყობს ნავთობის, მინერალებისა თუ საკვები პროდუქტების ექსპორტს.

მართალია, უზბეკეთი უკვე დაკავშირებულია ჩინეთთან რკინიგზით, რომელიც ყაზახეთზე გადის, მაგრამ ეს მარშრუტი უფრო ძვირია, ლოგისტიკა - მეტად რთული და გადაზიდვების ხანგრძლივობაც დროში გაწელილია.

ყირგიზეთის პოლიტიკური არასტაბილურობა და ფინანსური პრობლემები პროექტის განხორციელების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია. ქვეყნის მთავრობა წლების განმავლობაში საკუთარ ტერიტორიაზე რკინიგზის დასრულების პირობას დებს, თუმცა ამისთვის საჭირო ფინანსები ჯერჯერობით ვერ მოიძებნა, რადგან ქვეყანას დიდი რაოდენობით უცხოური ვალი აკისრია, რომლის 40%-იც ჩინეთის Export-Import Bank-ისაა.

ამირან გურიელიძე

„ქართული ღვინის ფესტივალი 2022“

ამ სახელწოდებით 8 ოქტომბერს თბილისში (სიონის ქუჩა, შარდენი) ღვინის ნამდვილი დღესასწაული გაიმართება, რომელიც ასობით უცხოელ და ადგილობრივ სტუმარს ერთ სივრცეში უკვე მეოთხედ გააერთიანებს.

ფესტივალი მოიცავს გამოფენა-გაყიდვასა და დეგუსტაციას. მცირე, საშუალო და დიდი მარნები სტუმრებს საკუთარ ნაწარმს წარუდგენენ. გარდა ღვინისა, ფესტივალზე ასევე წარმოდგენილი იქნება ტრადიციული ქართული პური, ჩურჩხელა, ჩირი, ყველი, თაფლი და სხვა.

„ფესტივალზე მოსული სტუმრები მაღალი ხარისხის პროდუქტის დაგემოვნებასა და მათთვის უცნობი ღვინის სახეობისა თუ ახალი მეწარმეების აღმოჩენას შეძლებენ, თუმცა ეს ყველაფერი არ არის. ფესტივალი მთელი დღის განმავლობაში იქნება დატვირთული გასართობი პროგრამებით. სტუმრები „მოძრაობის თეატრის“ მსახიობების მიერ დადგმულ ღონისძიებებს იხილავენ, მოისმენენ ქართულ ფოლკლორს, კულმინაცია კი ყველასთვის საყვარელი ქართული ბენდების კონცერტი იქნება. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმისა, რაც ფესტივალის სტუმრებს ელოდება“, - აღნიშნავენ ფესტივალის ორგანიზატორები.

ღონისძიება 12:00 საათზე დაიწყება და 19:00 საათზე დასრულდება.

მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ ორგანიზატორებს მისწერონ ფეისბუქგვერდზე: ქართული ღვინის ფესტივალი Georgian Wine Festival ან დარეკონ ნომერზე: +995 598 782 842.

ამირან გურიელიძე

საბა საზონოვი... საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშებს

მოსკოვის „დინამოს“ 20 წლის ცენტრალურმა მცველმა საბა საზონოვმა უარი თქვა რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვევაზე და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის გადაწყვეტილება მიიღო

ამის შესახებ რუსული კლუბის პრესსამსახურმა Telegram-არხზე დაწერა და დასძინა, რომ საბა 24 სექტემბერს პორტუგალიასთან მატჩში მიიღებს მონაწილეობას, 27 სექტემბერს კი თურქეთის წინააღმდეგ ითამაშებს. საბა საზონოვი დედით ქართველია. ის 1,94 მეტრი სიმაღლისაა და შორი მანძილიდან მშვენიერი დარტყმებით გამოირჩევა.

წარმატებები ვუსურვოთ მას საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

ამირან გურიელიძე

ხსოვნა

ქუქუნა ხაჯიშვილი

მძიმე დანაკლისი განიცადა ქართულმა მწერლობამ - გარდაიცვალა ცნობილი პოეტი, მთარგმნელი ჟუჟუნა ხაჯიშვილი.

დაიბადა 1957 წლის 13 აგვისტოს ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკაში. დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, აჭარის ტელერადიოკომიტეტში - კორესპონდენტად, აჭარის მწერალთა ორგანიზაციაში ჯერ მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს ინსტრუქტორად, შემდეგ კი მწერალთა კავშირის რედაქტორ-კონსულტანტად.

1978 წლიდან აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ მოძრაობაში. 1990 წელს აირჩიეს აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატად.

1989 წლიდან არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

ჟუჟუნა ხაჯიშვილი 9 წიგნის ავტორია. მისი შემოქმედებითი ნათლობა 1975 წელს ჟურნალ „ჭოროხში“ შედგა, სადაც პოეტ ფრიდონ ხალვაშის წინასიტყვაობით დაიბეჭდა მისი რამდენიმე ლექსი. პირველი პოეტური კრებული „ყვავილობა“ 1978 წელს გამოიცა, ბოლო - „რჩეული“ აჭარის მწერალთა სახლმა გამოსცა 2022 წელს. 1995 წლიდან ქართულად თარგმნის დიდ რუს პოეტ მარინა ცვეტაევას ლექსებს. 2004 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ცვეტაევას მისეული თარგმანები.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პოეტი, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონი. წავიდა და, უსაზღვრო სევდასა და ტკივილთან ერთად, დაგვიტოვა მდიდარი შემოქმედება - ჭეშმარიტი ლექსის ხიბლი და მადლი. მისი გულიდან წამოსული სტრიქონები ქართულ მწერლობას სასიცოცხლო მუხტს სძენდა მუდამ და იგივე მისიას შეასრულებს მომავალშიც.

აჭარის მწერალთა სახლი,

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია,

ჟურნალი „ჭოროხი“

ხსოვნა

თამაზ ცინცაძე



87 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, საქართველოს პარლამენტის წინა მოწვევების დეპუტატთა ბათუმის ცენტრის თანათავმჯდომარე, საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის თავმჯდომარე თამაზ ისმაილის ძე ცინცაძე.

დაიბადა 1935 წლის 6 აპრილს ბათუმის რაიონის სოფელ ხელვაჩაურში, გლეხის ოჯახში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1959 წელს. მოგვიანებით დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აგრარიკოს-ეკონომისტის სპეციალობით.

თამაზ ცინცაძე ახალგაზრდობიდანვე დაინტერესებული იყო ხელოვნებით, კერძოდ, ქორეოგრაფიით. ცეკვავდა ინსტიტუტის სტუდენტთა ანსამბლში, აჭარის სახელმწიფო ანსამბლში, ხელმძღვანელობდა ბათუმის №22 სკოლის ქორეოგრაფიულ ანსამბლს. აქტიური ახალგაზრდა კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად დაინიშნა, შემდეგ კომკავშირის ბათუმის რაიკომის პირველ მდივნად დააწინაურეს, მოგვიანებით კი საქართველოს კომუნისტური პარტიის ბათუმის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. დიდხანს მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც მისთვის დამახასიათებელი წესიერებით გამოირჩეოდა და არასდროს შებღალვია სახელი, იყო რამდენიმე მოწვევის რაიონული საბჭოს დეპუტატი.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ჩაერთო ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. იგი დაინიშნა ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

თამაზ ცინცაძე არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ წევრად ხელვაჩაურის რაიონის №93 ოლქიდან.

1963 წელს შექმნა ოჯახი ქალბატონ დალი სურმანიძესთან ერთად. ჰყავთ სამი შვილი.

ბატონი თამაზი ყოველთვის აქტიური ცხოვრების წესით ცხოვრობდა. პენსიაზე გასვლის შემდეგ ჩამოაყალიბა საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირი, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. ამასთან, იგი საქართველოს პარლამენტის წინა მოწვევების დეპუტატთა ბათუმის ცენტრის თანათავმჯდომარეც იყო. სადაც კი უმუშავია, ჰქონდა დამსახურებული ავტორიტეტი, იყო სპეტაკი, თავმდაბალი, კომუნიკაბელური, საიმედო მეგობარი, გაჭირვებულთა თანამდგომი, ანალიტიკურად მოაზროვნე ადამიანი.

ბატონი თამაზის სახით ჩვენ დავკარგეთ პატრიოტი, ქვეყნის ერთგული მსახური, ოჯახმა - მზრუნველი და ყურადღებიანი მეუღლე, მამა და ბაბუა.

მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.

უახლოესი მეგობრები

საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის თავმჯდომარე

თამაზ ისმაილის ძე
ცინცაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 19/09/22, 21 ³⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„სექტემბერი ბათუმში ყოველთვის „ბიაფის“ თვე იქნება“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმი საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალ „ბიაფს“ უკვე მეჩვიდმეტედ მასპინძლობს. კინომოყვარულებს შესაძლებლობა აქვთ, ქართველი თუ უცხოელი რეჟისორების შექმნილი ფილმები ნახონ, დაესწრონ საინტერესო მასტერკლასებს

- ტრადიციულად, სექტემბერში ვატარებთ „ბიაფს“, მართალია, საკმაოდ საინტერესო გეგმები გვქონდა წლევანდელ ფესტივალთან დაკავშირებით, მით უმეტეს, პოსტპანდემიური პერიოდია და გააქტიურდა როგორც ტურიზმი, ისე საფესტივალო ცხოვრება, თუმცა ფინანსურმა პობლემებმა ხელი შეგვიშალა. იცით, რომ ყველა ტრადიციულმა პარტნიორმა სახელმწიფო სტრუქტურამ უარი გვითხრა დაფინანსებაზე. არსებული პრობლემების მიუხედავად, ვახერხებთ ფესტივალის ჩატარებას. გაიზარდა იმ საელჩოებისა და პარტნიორების წრე, ვინც მხარი დაგვჭირა. ასევე, ყველა კინოკომპანიამ, ვისაც მივმართეთ და ვისი ფილმებიც იყო წარმოდგენილი ფესტივალზე, უფასოდ გადმოგვცა ეს ფილმები. ეს ძალიან დიდი მხარდაჭერა იყო ჩვენთვის, რადგან დღეს უკვე საკმაოდ ძვირი ღირს ფილმის ლიცენზია. ასევე დავიწყეთ კამპანია, #ერთადჩავატაროთბიაფი, რომელშიც საკმაოდ ბევრი ადამიანი ჩაერთო... და არა მარტო ბათუმიდან. მინდა მადლიერება გამოვხატო მათდამი. ვფიქრობ, სექტემბერი ბათუმში ყოველთვის „ბიაფის“ თვე იქნება, - განაცხადა „ბიაფის“ მენეჯერმა ზვიად ელიზიანმა.

აღსანიშნავია, რომ წელს საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალთან ერთად, ტარდება ფესტივალი „სინედოკ თბილისი“, რომელსაც ექნება თავისი საკონკურსო ფილმები. ეს, როგორც ფესტივალის ორგანიზატორებმა განაცხადეს, კიდევ უფრო გაალამაზებს და გაამრავალფეროვნებს „ბიაფს“.

„ბიაფი“ დაარსების დღიდან ყოველწლიურად გასცემს პრიზს კინემატოგრაფში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის. წელს ეს ჯილდო ფესტივალის გახსნის ცერემონიაზე მსახიობ ზურაბ ცინცქილაძეს გადაეცა.

- ისეთ დიდ ადამიანებს აქვთ ეს ჯილდო მიღებული, რომ მე არ ველოდი. მადლობა ორგანიზატორებს. აქვე ვიტყვი, გაბრაზებულიც ვარ, რომ დაფინანსებაზე უარი უთხრეს „ბიაფს“. დაფინანსება ნიშნავდა, რომ ფესტივალი უფრო ღირებულად ჩატარდებოდა. კარგია, როცა კულინარიით, ზღვით, მთებით ვიწონებთ თავს, მაგრამ კულტურა უპირველესია. პრობლემების მიუხედავად, ფესტივალმა გაიმარჯვა. ხალხის დამოკიდებულებიდანაც ჩანს, რომ მას ეს სჭირდება, სულს სჭირდება კულტურა, - გვითხრა ზურაბ ცინცქილაძემ.

„ბიაფის“ გახსნის ცერემონია ელდარ შენგელაიას ბოლო ნამუშევრით, მოკლემეტრაჟიანი ფილმების ტრილოგიით „მრავალჟამიერი“ დაიხურა. როგორც ფილმის პროდიუსერმა და საქართველოს კინოაკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, კინოპროდიუსერმა ნიკოლოზ აბრამიშვილმა გვითხრა, მიუხედავად იმისა, რომ ელდარ შენგელაიას იანვარში 90 წელი შეუსრულდება, ის არ ჩერდება, სისტემატურად მუშაობს და სურს კიდევ ერთი ფილმის გადაღება.

- მინდა თქვენი გაზეთით მადლობა გადავუხადო „ბიაფის“ ორგანიზატორებს, მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ შექმნილი სირთულეები ისე გადაელახათ, მაყურებლებს და სტუმრებს არ გვეგრძნო. თითოეულმა ადამიანმა, „ბიაფის“ თითოეულმა მოყვარულმა და მეგობარმა თავისი წვლილი შეიტანა ფესტივალის ჩატარებაში. ეს ამ ადამიანებისთვისაც სიამოვნებაა და „ბიაფისთვისაც“, როცა ამხელა მხარდაჭერას გრძნობს მაყურებლისგან. ჩემთვის დიდი პატივია, რომ წლევანდელი ფესტივალი ელდარ შენგელაიას „მრავალჟამიერით“ გაიხსნა, რომლის პროდიუსერიც გახლავართ. იგი სამი მოკლემეტრაჟიანი ფილმისგან შედგება, თუმცა ერთი სრულმეტრაჟიანი ტრილოგიაა. ყველამ კარგად ვიცით, რომ ელდარ შენგელაია იღებს სხვანაირ ფილმს. ის ირჩევს თემას, რომელიც უკვდავი და ყოველთვის აქტუალურია. თვალი რომ გადავავლოთ ელდარ შენგელაიას შემოქმედებას, მივხვდებით, რომ მისი ფილმების სათქმელი, რაც დრო გადის, უფრო მეტ აქტუალობას იძენს - ის უსწრებს დროს. „მრავალჟამიერის“ მთავარი სათქმელია სიყვარული და თავისუფლება. მან პირველი ფილმი („ჭა“) მიუძღვნა მიხეილ კობახიძეს, მეორე („სიმღერა“) – ანზორ ერქომაიშვილს, ხოლო მესამე („ჩიტები“) - თავის ძმა გიორგი შენგელაიას. მას სურდა ისეთი გამოსულიყო ეს ფილმები, რომ ვისაც ეძღვნება, მათ მოსწონებოდათ. ეს ადამიანები, სამწუხაროდ, ჩვენ გვერდით აღარ არიან. ეს ემოციები, რაც აკავშირებდა ბატონ ელდარს ამ სამ ადამიანთან, ერთ ფილმში მოაქცია, - აღნიშნა ნიკოლოზ აბრამაშვილმა.

კინოჩვენებები, ტრადიციულად, კინოთეატრ „აპოლოსა“ და ევროპის მოედანზე - ღია ცის ქვეშ იმართება. წელს 30-ზე მეტი ქვეყნიდან წარმოდგენილია 30 სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური, 25 მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

ფესტივალი 24 სექტემბერს დასრულდება.

გონიოს ციხეში „რომაული ფესტივალი 2022“ გაიმართა

ზიჭრია დავლაძე 597 25 25 72

„ტურნირი ჭიდაობაში“, „ანტიკური ცეკვა ნიღბებით“, „რომაული ქორწილი“, „დოკუმენტური სპექტაკლები“, „გლადიატორთა ორთაბრძოლა“ - ეს მცირე ჩამონათვალია იმ სანახაობრივ-შემეცნებითი პროგრამიდან, რომლის ნახვაც გონიოს ციხეში გამართულ „რომაულ ფესტივალზე“ ნებისმიერ მსურველს შეეძლო. ფესტივალზე იმყოფებოდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მოწვეული სტუმრები.

- დღეს კიდევ ერთხელ ჩატარდა „რომაული ფესტივალი“, როგორც ნახეთ - სახეცვლილი. წარმოდგენილი იყო ბევრი სიახლე, უფრო მრავალფეროვანი ისტორია, გაცოცხლებული იყო მათი ცხოვრების ამსახველი კადრები, სამზარეულო, ტრადიციები, წარმოდგენილი იყო რომაული ისტორიის კვეთა საქართველოსთან მიმართებაში. ერთი მხრივ, საინტერესო საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროდუქტი იხილეს აქ მოსულმა სტუმრებმა, მეორე მხრივ, ეს იყო ძალიან საინტერესო ტურისტული ატრაქციაც. ვფიქრობ, ასეთი ფესტივალები ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ისტორიული მომენტების კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საზღვრებს გარეთ, - განაცხადა მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

„რომაული ფესტივალი“ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა. ფესტივალის მხარდამჭერები არიან აჭარის მთავრობა და განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. ღონისძიების ფარგლებში საგანგებოდ მოეწყო რომაული ბანაკი, რომელიც აღჭურვილი იყო ყველა საჭირო საბრძოლო აღჭურვილობით. კარგად იყო ნაჩვენები რომაელი ლეგიონერის ყოფა-ცხოვრება.

- აჭარაში „რომაული ფესტივალი“ 2017 წლიდან ტარდება, რაც, უპირველეს ყოვლისა, ციხის პოპულარიზაციას, ცნობადობის გაზრდას უწყობს ხელს. ღონისძიებაში მთავარი ისაა, რომ ასახავს I-III საუკუნეების პერიოდს. გაცოცხლებულია ჯარისკაცების ყოფითი ცხოვრება, მათი კულტურა, რაც იმ პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი. ფაქტობრივად ფესტივალი იმ ეპოქის ინტერპრეტაციაა. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტები, სწორედ აქედანაა აკინძული ბევრი ამბავი იმ პროგრამაში, რომელიც დღეს წარმოდგენილი გვაქვს და რითაც საინტერესო და გამორჩეულია ეს ღონისძიება. ჩვენი მთავარი მიზანია, ფესტივალმა ტრადიციული სახე მიიღოს და ყოველ წელს ჩატარდეს, ასევე, ბევრი ვიზიტიორი, მნახველი ჰყავდეს. ზოგადად, მსგავსი ღონისძიება არახალია იმ ქვეყნებში, სადაც რომის იმპერია იყო, კერძოდ, გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისსა და ესპანეთში. მსგავს ციხეებში ტარდება ასეთი ორგანიზებული ფესტივალები რომთან დაკავშირებით. აქ წარმოდგენილი მთელი რიგი არტეფაქტები რომის სამყაროს ეკუთვნის და რომი-კოლხეთის ურთიერთობას ასახავს. ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ მსგავსი ფესტივალი აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაენერგა და ჩაეტარებინა ამ ციხე-სიმაგრეში. 2017 წელს მასშტაბები ძალიან პატარა იყო, რაც შემდეგ წლებში გაიზარდა. მიმდინარე წელს ღონისძიება სხვადასხვა ატრაქციითაა დახუნძლული და უფრო მრავალფეროვანია. გასულ წლებში კორონავირუსის გავრცელებამ ძალიან შეუშალა ხელი ღონისძიების ჩატარებას, რადგან აკრძალული იყო სხვადასხვა ტიპის აქტივობები, თუმცა სამომავლოდ, იმედია, ხელს არაფერი შეგვიშლის და უფრო გავამრავალფეროვნებთ ფესტივალს, - განაცხადა აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსების არქეოლოგიისა და საგანმანათლებლო განყოფილების უფროსმა ლაშა ასლანიშვილმა.

სანახაობა როგორც ადგილობრივებმა, ასევე მოწვეულმა სტუმრებმა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა იხილეს. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გონიოს ციხეზე გამართულ ფესტივალს პირველად დაესწრნენ.

- მშვენიერი იყო როგორც საყურებლად, ასევე საინტერესო - ისტორიის გაცნობის თვალსაზრისით. პირველად ვარ ამ ღონისძიებაზე და დადებითი შთაბეჭდილებებით ავივსე. ჩემს 10 წლის შვილსაც ძალიან მოეწონა, განსაკუთრებით, რომაელთა ბრძოლის სცენა. დიდი სიამოვნებით მოვალ მომავალშიც და ჩემს სამეგობროსაც წამოვიყვან. მიხარია, რომ ჩემთან ერთად ამდენი ვიზიტიორი ესწრება ფესტივალს და ჩართულია აქ წარმოდგენილ სხვადასხვა აქტივობაში, - გვითხრა ფესტივალის ერთ-ერთმა მაყურებელმა მადონა ცინცაძემ.